ქვითარ 23 თებერვალი

ფასი 5 კაპ.

ეშეფები

№ 6.

იუმორისტ. ჟურნალი

ქართულ თეატრში შემოკრბენ
ქართველი კულტურულნენი,

ორი ქართული წიგნისოვის
გააჯირითეს მგოსნები.

კულტუროსნები

თეატრის დარბაზი ხალხით სავსეა. მეტის-მეტი მოგრძო ანტრაქტის გამო დარბაზში ყაყანი გაისმის. ხალხი მოუთმენლად ელის ფარდის ახდას. წყეული ფარდა, ეს რაღაც სქელი მატერია ხელს უშლის დარბაზის ხალხს დაინახოს ფარდის იქით მყოფი კულტუროსანი ხალხი. ყაყანი თანდათან მატულობს. დარბაზის ხალხი ღელავს. ფარდის წინ გამოჩნდება კულტუროსნების წინამძღოლ-თავმჯდომარე გ. ჟორდანია და ნაზი ხმით გადმოსძახებს მოღალატე ხალხს:

— ბატონებო! «ქართულ კულტურის მოყვარული წრე» მოგმართავთ შემდეგი თხოვნით: აგერ რამდენი ხანია მოვუწოდეთ ჩვენ ახალგაზრდა მგოსნებს წარმოედგინათ ჩვენთვის თავიანთი ლექსები. დავნიშნეთ ორი საჩუქარი ორი კარგი ლექსისთვის. ლექსები აურაცხელი მივიღეთ და გადავსწყვიტეთ დაგვნიშნა მგოსანთა საჯარო დღე. მოგიწოდეთ თქვენ ამ დღეზე დასასწრებლად და კიდევაც მოგრძანდით. ამისათვის მადლობას გწირავთ. მაგრამ საუბედუროდ ჩვენმა წრემ ვერ მოასწრო ყველა ლექსების წაკითხვა, ამისთვის არც დრო გვქონდა და არც ადგილი. ამიტომ, ბატონებო, ბოდიშს მოვიხდით და ჩვენ იქ ფარდის უკან გავარჩევთ ლექსებს, თქვენ კი აქ გრძანდებოდეთ იბაასეთ, გაეცანით ერთმანეთს, თუ მოგწყინდეთ აქვე ახლოს თამბაქოს მოსაწევი ოთახი გახლავთ, სადაც მუდამ თავს იყრიან ჩვენი გალა-რეცენზენტ-კრიტიკოსები და თამბაქოს ბოლით გაბრუებულ თავებით ტყავს აძრობენ ქართველ მსახიობებს და დრამატურგებს. იქ შეგიძლიათ თამბაქოს შეექცეთ, შეგიძლიათ აგრეთვე აქვე გვერდით კლუბისკენ გაისეირნოთ, ისიც ჩვენი მოძმეა, კულტურული დაწესებულებაა. მაგრამ, ჩემის, აზრით, ყველას ემჯობინება აქვე ისხდეთ და იმასლაათოთ. ჩვენც ეხლავე გამოვალთ. ნახვამდის.

გიორგი მდაბლათ თავს უკრავს და ფარდის ქვით გაძვრება.

დარბაზში კვლავ ძლიერი ყაყანი გაისმის. მღელვარება თან და თან მატულობს. ,,აბუნტებული'' ხალხი მზათ არის სცენაზე ავიდეს და გაიგოს რა ამბავია ფარდის იქით.

გადის ნახევარი საათი. ფარდა ნელ-ნელა ადის ზევით. სცენაზე კულტუროსნები დაბანაკებულან, ზოგი მხარ-თეძოზე წამოწოლილა, ზოგი ზის და ზოგი კიდევ დგას. წინ წამოდგება იგივ გ. ჟორდანია და ღაღად ჰყოფს მეგრული, წკრიალა ხმით.

— ბატონებო! მართალია ბევრი გაცდევინეთ, მაგრამ ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ვალი. გადავსინჯეთ ყველა ლექსები და მოგვეწონა მხოლოდ ოთხი. ისიც მართალია რომ ოთხი ლექსი მოვიწონეთ, მაგრამ არც ის არის სიცრუე, რომ არც ერთი ლექსი საჩუქრის ღირსათ არ ვსცანით. ამ ოთხ ლექსს ეხლავე წაგიკითხავთ.

ერთი კულტუროსანი კითხულობს ლექსს. წინ წამოდგება ისევ იგი გ. ჟორდანია:

— ბატონებო! **ავტორის ლექსის გვარი** გახლავთ ურუშაძე.

ხალხში ძლიერი სიცილი გაისმის.

კითხულობენ მეორე ლექსს და კვლავ მოისმის ჟორდანიას ხმა:

— ბატონებო! **ავტორის ლექსის გვარი** გახლავთ გორგაძე.

კითხულობენ მესამე ლექსს.

— ბატონებო! **ავტორის ლექსის გვარი** გახლავთ—ქუჩიშვილი.

კულტუროსნებს მღელვარება ეტყობა. რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა.

წინ ისევ იგივე ჟორდანია გამოდის და აცხადებს:

— ბატონებო! მართალია ქაურის წევრებმა გადასწყვიტეს არც ერთი ლექსი არ ეცნოთ საჩუქრის ღირსათ, მაგრამ ჩვენ, კულტუროსნები ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივდით. ცოტა ხანს კიდევ მოითმინეთ გავალთ იქით და უხერხულ მდგომარეობიდან გამოვალთ. ყველანი გადიან. დარბაზში ისევ ყაყანი გაისმის.

ათი წუთის შემდეგ კულტუროსნები ისევ წარმოსდგებიან ხალხის წინაშე.

— ბატონებო, კვლავ ისმის ჟორდანიას ხმა,—გამოვედით უხერხულ მდგომარეობიდან. თუმცა არც ჩვენ ვსცანით არც ერთი ლექსი საჩუქრის ღირსათ, მაგრამ გადავწყვიტეთ ლმობიერად მოვიქცეთ, მოწყალება მოვიღოთ და მივცეთ საჩუქარი ორ მგოსანს—ურუშაძეს და ქუჩიშვილს, რომ **წავაქეზოთ წერისთვის**. მოგეხსენებათ ყველა ადამიანს წაქეზება უნდა. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, დოღი გათავდა.

კულტუროსნების წინ ფარდა ეშვება და ხალხი ყაყანით გამოდის დარბაზიდან.

ნინიკა.

მ უ დ ა რ ა.

(უძ. ქ-ს მეგრელიძისას).

ნუ, ნუ გახსნი ჯერ ბუნებავ
გაზაფხულის ფერად კარებს,
ნუ მოქარგავ ყვავილებით
გულ დასუსხულ არე-მარეს.

ნუ გაუხსნი ჯერ მერცხალს გზას
იმ ჭიკჭიკა მახარობელს;
ნუ მოაწვევ ვარდის მგოსანს,
ეშხის გრძნობით დამათრობელს.

ნუ, ნუ მეთქი, მეშინია—
ვახ თუ დაჰკრა მარტჰა სუსხი
და დაშხამოს შავმა ძალამ
სამოთხისგან დანაკურთხი.

და მაშვინ ხომ ჩემი სატრფოც,
თანა მგზავრი გაზაფხულის—
მასთან გზაში დამეღუპვის
და გარდმიტანს ბნედა გულის?

ნუ, ნუ გახსნი ჯერ ბუნებავ
გაზაფხულის ფერად კარებს,
მე დავკარგე წინად სატრფო,
ეხლაც მიტომ მაკანკალებს.

შხანკოლ

ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲐ

(იგავისებური)

სიკვდილის დროს მამამ შვილსა,
„მოდი აქო“, დაუძახა.
შვილს-კი გული აუტირდა,
რომ მან მამა ავათ ნახა.
მაგრამ ერთ მხრივ უხაროდა,
მოხუცი რომ უკვდებოდა,
რადგან მთელი მის სიმდიდრე
სიკდილს შემდეგ, მას რჩებოდა.
—შვილო ჩემო,—უთხრა მამამ—
აჰა ვკვდები უკვე მეო,
ჩემ ქონებას შენ გიტოვებ
მოუარე როგორმეო,
ნუ აჰყვები ბიჭ-ბუჭებსა,
გქონდეს ესდენ გონებაო,
თორემ უცებ გაგიჰქრება
მთელი ჩემი ქონებაო!...
და, ვინძლო რომ ასეც მოხდეს,
ძეტი რაღა გზაიაო,
ეგერ თოკი ჩამოვკიდე
და იქ გაჰყე თავიაო.
ამ სიტყვების შემდეგ მამას
წაუვიდა კიდეც გული,
მეტი კრინტიც ვეღარ დასძრა,
განუტევა ისე სული.
ერთგულ მამის დარიგება,
შვილს სულაც არ გაახსენდა,
დაჰპატიჟა მეგობრები
და მარად დღე ქეიფს სწევდა!..
მარა „სიტკბოს მწარე მოდევს,“—
ასე არის ბრძენთა თქმული,—
უცებ ტანჯვათ გადიქცევა,
უცაბედი სიხარული“!
შვილს ქონება გაუთავდა,
ღარ დარჩა ერთი გროში,
უტანსაცმლოთ კანკალებდა
სიცივისგან განათოში...
ჩამოშორდენ მეგობრებიც,
მას რომ წინეთ თაყვანს სცემდენ...
ყველამ პირი აარიდა.
და ყველანი ზურგს აქცევდენ!..
ერთ საღამოს საცოდავი
წაჩანჩალდა, იმ დიდ ბაღში,
სადაც ბევრჯერ ქეიფის დროს,
უცქეროდენ ტრფობით თვალში.
მივიდა იქ, მეგობრები
ქეიფობდენ ერთად ყველა
და მათ უთხრა „გამარჯობა,“
მიესალმა წყნარად—ნელა...
მოაძახეს: დაიკარგე,
შენ გლახაკო მათხოვარო,
აქ დარჩენას გერჩიოს, რომ
ჩქარა, მალე გაიპარო!..
—რათა ძმებო, მეც მოვიტან
ერთ დოქ ღვინოს, ერთ ქათამსო,
ოღონთ თქვენთან მაქეიფეთ
და მე მოვალ ამვე წამსო...
როგორც იყო დათანახმდენ
თუ რომ თქმულს ის მოიტანდა
და ნებისა დართვის თანვე
იგი უკვე მიფრინავდა...
მართლაც, მალე იშოვა მან,
მეგობრების საციცქარი,
მარა უკან რომ მობრუნდა,
ჩაკეტილი დახვდა კარი.
გადასძახა: გამიღეთო,
მარა არ ვინ გასცა ხმაო
დიდ ღობეზე გადავიდა,
რადგან სხვა მხრივ არ ჩნდა ხსნაო.
როცა ღვინო გადიტანა
და ქათმისთვის გადმობრძანდა,
დახეთ უბედურებასა!
შემწვარ ქათამს ძაღლი სჭამდა!..
რაღა ექნა, მეგობრებთან,
მარტო ღვინო მიიტანა.
მოაყვირეს: ქათამიო?
—რა ვქნა... ძაღლმა შემიჭამა. .
—რა თავს იგდებ, შენ გლახაკო,
განა ქათამს ძაღლი სჭამსო?
ვის ატყუებ საძაგელო?
დაიკარგე ამვე წამსო!...
—ღმერთ ვფიცავარ... მარა სიტყვა
მეტი, ღარ დააცალეს
და ბაღიდან გამოაგდეს...
დოქიც თავზე დაახალეს!..
რაღა ექნა! შინ წავიდა,
დედა მისი დახვთა კარზე,
გაუჯავრდა ბედოვლათ შვილს
და გალანძღა იგი ძალზე...
აქეთ ცოლი აუხირდა...
იქეთ დამ სთქვა საყვედური
და მაშინ-კი გადასწყიტა,
სთქვა: რადგან ვარ უბედური,
რადგან ყველამ მომიძულა...
თავს მოვიკლავ, მადლი ღმერთსო,
მაშ სხვა რავქნა, შევასრულებ
მამა ჩემის ნათქმ სიტყვებსო.
მან პასუხიც-კი არ გასცა
ნათესავთა მწვავე სიტყვებს,
ჩუმად თავი თოკში გაჰყო,
დაეკიდა ფეხებს იქნევს..
და როცა რომ სასიკვდილო
გადაედვა შავათ ფერი,
ისე მაგრათ გაექანა,
რომ კიდეკვაც გატყდა ჭერი.
ძირს დაეცა მარა დახეთ...
დაეყარა ოქრო თავზე
და ის მკვირცხლავ წამოვარდა
ამ სასწავლის დანახვაზე!
მოიწონა მამის სიბრძნე
და სთქვა: კარგი მიყო ესო
დღეის იქით, რა თქმა უნდა,
შევასრულებ მის სიტყვებსო.
ერთ დღეს ფიქრმა გაუარა:
მოდი იმ ჩემ მეგობრებსო;
რომლებმაც, რომ მაშინ ბაღში,
არ მიმიღეს... მიმბეგვესო,
დავპატიჟებ და გამოვცდი,
რაც სიმართლის მთქმელიაო,
რომელია პიდაპირი
და რომელი მელიაო!..
დანიშნულ დროს მეგობრებმა
მოიყარეს კიდეც თავი
და რომ ჭამა დაგვიანდა,
არ იამათ ეს ამბავი.
სთქვეს: რას შვრება მასპინძელი,
ეს რა უზრდელობაოო!
უკვე ღამეც მოაწია,
რა დროს სადილობაოო?!.
და ამ დროს-კი მასპინძელიც
გამობრძანდა დინჯად-ნელა,
სტუმრებიც მის დანახვაზე
წამოცვივდენ ფეღზე ყველა...
და როდესაც ჭამათ დაჯდენ,
ახლეს კიდეც ლუკმას ხელი,
მაშინ წარბებ შეჭმუხვნილი,
ადგა ზეზე მასპინძელი,
სტუმრებს უთხრა: მოითმინეთ,
საჭმელს ჯერ ნუ მიჰყობთ ხელსო,
რადგან მინდა რამე გკითხოთ,
ჩემ ძველ ერთგულ მეგობრებსო.
დღეს, საწყობში შევხვდი მეტათ
საქმეს გასაკვირებსაო,
მიმდგარიყვენ თაგვები და,
სჭამდენ იმ ჩემ რკინებსაო!
და ეხლა გთხოვთ მიპასუხოთ,—
მართლა თაგვი რკინას სჭამსო?
— კი ბატონო, - მოაძახეს,—
უჯერავართ თქვენს ნათქვამსო.

-ძლიერ კარგი. თუ რომ თაგვი,
ჯერხართ—კი სჭამს რკინებსაო,
ეთ არ იცით ქათმის ხორციც,
ღლს, არ ატკენს კბილებსაო?
-როგორ არა, ესეც ვიცით,
ღლი, რომ სჭამს ქათამსაო!..
-მაშ რიღასთვის არ სჯეროდით
ლში ამ ჩემ ნათქვამსაო?!..
სტუმრებს ენა ჩაუვარდათ,
ტყვა ვერ სთქვეს, ვეღარც ერთმა
ა რაც დღე მათ წაეკიდათ,
ქვენს მტერს მისცეს იგი ღმერთმა!..
ერია მასპინძელი
ათ უკუდო მათრახითა
ა სუყველა კარს გარეკა,
რთი ვაი-ვაგლახითა!..
ეძახა დაიკარგეთ,
ა იკოდეს სხვებმაც ესო
ი მის თავს, ვინც მიჰყვება,
ქვენისთანა მეგობრებსო!...

—

ასე არის ეს იგავი
უმც ძველია,—მართალია.
არა ვხედავ ეს ამბავი,
ერ ჩვენ დროში ახალია.
უ ფული გვაქვს და ქონება,
ეფეცა და ღმერთიც შენ ხარ,
უნდაც მაიმუნი იყო,
აზაფხულის დილის მზე ხარ!..
ველა გამკობს, ვინც-კი გინდა,
ტერ-მოყვარე-ნათესავი,
ოველ მხრიდან გაგიჩნდება
ეგობრებიც უთვალავი...
ა თუ რომ შამოგელია,
ერე? მეწყერს შენი თავი!..
რც არავის ენაღლები,
რც არავის ეწვის გული,
ომ შენ მათგან ტყავ გამძვრალსა,
ანჯვით გხთება სადღაც სული!..

ირ. გოგოლაძე.

გურული სცენა

— ამბავ-ხეპერი, რას იქთ და
ავა ხართ, რა ამბავია თქვენს შე-
ოქმედში ჩემო იოსებ?..

— რა უნდა იყოს ჩემო ძმაო
აყვარელო, იმისთანაი ჩვენში აფე-
რია, რომ მთელი ქვეყნის საზიარო
ყოს, მარა ამ ქ ეყნის საზიარო ქა-

— დედილო! დიდი მარხვა დადგა, ვაი ჩემს დღეს.

— ნუ სტირი შვილო, ისევ გახსნილდე-ბა და ბედი კარზე მოგადგება.

ლებმა კი აგვიანცეს, დაგვინგრიეს ოჯახი, გათიშეს ჯვარ-დაწერილი ცოლქმარი, გადაგვკიდეს ერთი-მეორეს ტკბილი მეზობლები. რავაც ყველაი ძაღლი ერთი ჯოხით არ გეიდენება, ისე ზოგიერთ ქალებს ჯვარი სწერია, მარა ზოი ქალი, რომ ქალის პირს არცხვენს აგიც მართალია. ხომ გაგიგონია, ჩემო ძმია, ქალიშვილები, რომ აღიღინებენ გიტარაზე: „ზოი ქალი ას მიყობა, მე კი ერთიც არ მეღირსაო!“ ასეა, ჩვენებური ზოგიერთი ქალებიც, ზოგს ერთი ქმარი ენატრება და ზოგს სამი ცხრაი საყვარელი ყავს და მაინც სხვას ართუმს ქმარს— ზოგ გასათხოვარ პატიოსან ქალიშვილიზა ბედი მომწვარია და ერთი საქმროც ვერ უშოვნია, ქეა პირდაღებული და ამ დროს ახტაჯა ქვრივს სამი დუქინი კურო ყავს— ეი ვახ, რა ცუდია ჩვენი დრო!

— ნუ გამაშტერე როკის სარი-ვით, თუ ძმა ხარ, დოღრათ მითხარი ვინაა იგი როკაპ-სარამიტელი სამი დუქინი საყვარელი რომ ყავს, რაფერ ბერდაის ბერე ამფერი ქალი თვალის გაპყერას, რაიზა არ გრცხენიათ მერე. მაგფერი ქალი უნდა გაარონიოთ ალაიაში, დადაღოთ უნდა და მერე სხვაი ვერ გაბედავს თვარა ხომ გაგიგონიათ:—„ერთმანეთის ბაძითაო, სახლი აივსო ნაგვითაო“. მაინც ვინაა თუ კაცი ხარ მაგი ახტაუჯაი?

— ვინაა, ჩემო ძმაო, ნეტა მაინც ქალს გავდეს, დაბღილული დაგვალული, უცხვირო, ულრჯილო, ბრუციანი, ქვრივი, მარა ყოველთვინ ქმარიანი, სახელს რას კითხულობ, მე რომ არ მათქმაო და მისი მელამიები არ გადამკიდო შენით ვერ მიხთები თუ!—ადი ჯვარზე და იკითხე ვისას ცხვება ყოლ-ღამე ხაჭაპურები, ვისას არის ყოლთვის გიტარაზე ღიღინი, ნარდისა და კარტის თამაში, ვის ღობეზე ხტებიან ყოლ-ღამე ვაცი თხებივით, ამ ღთის პირიდან გადავარდნილმა, ენა გატლეკილმა, შარახვეტიამ დაგვაქცია მთელი ჯვარი და კუთხე-მეზობლები. რას იზამ, ძმაო, შენ მართალი ხარ, ამდენხანს უნდა მიგვეექცია ყურად-

ღება ამფერი ქალიზა მარა ,,სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო!'' ჩვენც ასე გვემართება, მარა ყოლთვინ არ წეგაყრეგთ და ყოლთვინ არ იქნება მაგი ქვეყანა მაგფერი ..... ქეიფა ქალების სახუნტრუკო.

მძაღე.

ჩვენი დროის დიპლომატები.

მ ე ლ ა ს.

რას ცუნცულებ, რა გწადიან?
ვერ გაგატან მე ყვინჩილას,
გამეცალე, თორემ შავად,
გაგითენებ, მე შენ დილას.
კარგათ ვიცი, რა შვილიც ხარ,
რა მსუნაგი, საძაგელი,
ნუ, ნუ ჰფიქრობ, რომ მომტაცო,
შენ ქოჩორა, ან ფრთა ჭრელი.
გეყო რაც რომ გაიტაცე:
იხვი, ბატი და ქათამი,
ვერ მოგართვი, აწ კი დადგა,
შენი აღსასრულის წამი.
დაიკარგე, გამეცალე,
ხელი უშვი ჩემს წიწილას,
თორემ გაგსრეს, თავს გაგიჭეჭუ
და გავაქროგ შენს სინსილას.

გოგია.

ჩემი ქარჩხი

დიდი ხნის ამბავი კი არ გეგონოსთ, პირზე ბალახი არ მქონდა ის დრო იყო, ერთ დღეს მესტუმრა დედამანია ქალი გადმოცა რაღაც ბადე ქონივით ჭინჭში გახვეული და ძითხრა: ეს ბებიავ ქარჩხი არის, რომელიც დაბადებისას პირზე გეფარა, მეც რომ არ წავწყმედილიყავ შეგინახე და აწი როგორც გინდა მოიხმარეო.

იმისი კი რა მოგახსენოთ წაწყდა თუ ცხონდა, მხოლოდ მე კი ასე ვხმაროგ ამ ნივთს: რომ ავწევ და გავხედავ —ცა და ქვეყნის შუა ჩემს თვალს ვერაფერი დაემალება.

აი, ამის შემწეობით გავიგე კიდეც: ლანჩხუთის ტარიელ მკლავაძისა და ცუღლუტ სტუმარის მარშენიკური კავშირი, ანარხო-შანტაჟისტის წერილის მიზეზი, ნიკოლოზაის მუცლის გვრემის მიზეზი, არტემაის მხარის დაჭერის მიზანი, ენქეროსნის პროვაკაციის აზრი და სხვანი და სხვანი.

და, აჰა ესე რა ქარჩხი შეინახეგის ჟამამდე მომავალ კვირიაკემდე, მხოლოთ დღესა მას კვალად იქნების გაჭვრეტილ საძრწოლელად მრავალ ავ-სულთა და უხაროდეთ მათ.

— ა. ქარჩხიანი.

გამოცანა.

(ლანჩხუთლებს.)

გამოცანას მოგახსენებთ
იმედია ახსნით ყველა
ინგლისი და ამერიკა
ბარე სამხელ გადათელა
ერთხელ იყო ოცდა ორ კაცს
რო წაჰკიდა ხათაბელა
ნიუორკში წასაყვანად
გამაოწყო სირმით ყველა
ფულათ ფულიც ბევრი მისცა
ყელიც ძალზედ გაისველა
ბაქოს ახლოს მიატოვა
მანგაიქცა თავს უშველა...
მაგრამ მალე დაგვიბრუნდა
შეგვეპარა ვითომც მელა.
და ახლა კი ჩოხით, ჯაქვით
დასეირნიბს ნელა, ნელა.

ქესტუმ!

მესტვირული.

ველარ ვახერხებ სიჩუმეს,
ველარ ვასვენებ ენასა,
თუმც კარგათ ვიცი, ამითი
ბევრს მივაყენებ წყენასა;
ავიღებ ხელში გუდუნას
მოვყვები რაჭულ მღერასა,
ქალაქელ ცნობილ „გმირებსაც“
გამოვამზევრებ ყველასა.
ვაგზლის ბუფეთში მაქსიმეს,
ქანქარი ძალზე ჰბერავსა
და იმიტომაც მსახურებს
მუდამ ლანძღავს და სტვერავსა!
ერთ მსახურს სილა გააწნა,
მეორეს შეაგინაო,
მსახურმა თავი დახარა,
ბატონი ედგა წინაო,

კარგი გმირი ხარ მაქსიმე,
თუ ღმერთმა შეგარჩინაო,
რატომ არ გახსოვს, „ორიანტს“
ლაქიათ გქონდა ბინაო,
და თუ დღეს ხაზეინი ხარ,
შემთხვევით შეგეძინაო,
მალხაზაც შენი ტოლია
მალე გაგასწრობს წინაო,
შენ რომ ბიჭს ხელით შეეხე
მე მწარედ გამეცინაო,
ხელებს რად „ისვრი“ ბატონო
ესროლე ჯოხი-რკინაო!..
თვალი ახილეთ მსახურნო
ყველა მიილტვის წინაო,
და თქვენ რა მოგდით, ან ასე
რა ძალამ დაგაძინაო!.—

იქიდან „კავკაზს“ ვეწვევი,
სასტუმრო სახელ ქებულსა,
მსახურებს გამოუძახებ,
მაცდურად— „გაკუპებულსა“
ვეტყვი— „რად მლანძღავ, ძმობილნო,
რისთვის მაყენებთ წყენასა,
თუ „ფიქრში“ რამეს ვათავსებ,
თქვენ ვერ დამიშლით წერასა,
თქვენსა ინტერესს ვიცავდი,
მიტომ ვაქნევდი ენასა,“
თუ თქვენ არა გსურთ სიკეთე
ნუ მოუცია ზენასა“.

ეხლა შევჩერდეთ გუდუნავ,
გავსწოროთ შინისკენაო,
თორემ ვინ იცის „გმირები“
კარგს არ დაგვაყრის ჩვენაო.

გ. ბომბოთელი.

ზ ა მ ო ც ა ნ ა

(საჩხერდებისთვის)

ახალს წელს ამოირბინა
წამს მოგვაჩვენა თავია
ნაკრეჭი ულვაშები აქვს
მაღალია და შავია.
ბევრს ანგელოზი ეგონა
უმანკო როგორც კრავია
თუმც ჭიათურელ მუშისთვის
ბევრჯელ უძვრია ტყავია.
ხალხსა დაუწყო რიგება
დაჰგმო ოთხ-ხუთის წელია,
და ხელმძღვანელებს უწოდა
თავისულების მკლელია.
გვირჩევდა არ ავყოლოდით
სხვისა ფეხისა ხმასაო
თორემ „ბაბუშკა“ გაგიგებთ
დაიღუპებით წამსაო.
ფედერალებსა მიემხრეთ
გახდით სამშობლოს შვილიო,
კმარა რაც ითამაშევით
აღარ ხართ ბავშვი-ჩვილიო.
ხალხმა კი კუკუ უძახა
არ აყვა მისსა ხმასაო
ბევრი ხომ დღესაც უძახის
გარეულს შავსა თხასაო.

სიკინჭალა.

სბროლიავკას მუშებს.

(ძღვენის გამო)

მეგობრებო თქვენგნივ ძღვენი
მიულია ცხადაძესა,
მე სარწმუნოთ გადმომცეს, რომ
არც იწუნებს ის ამ ძღვენსა.
უთქვამს საქმეს გავაკეთებ—
გამიძღება კუპიაო,
ფული უნდა მოვიხვეპო
დღეს სინდისი ფუპიაო.
არ მივიჩნევ დამცირებათ
და არც ვწუხვარ ამაზეო,
თუ არ ვიგდო წარმატება
დე, დამბითი ბაგაზეო.
დაიჯერეთ, გაეხარდა
ხელს კიდებდა ფთხილათ ნელა
და იმ ძღვენით—სასურველით
უფროსის კარს დაახველა.
მოიწამლა არე-მარე,
დადგა სული მეტად მყრალი,
მსახურები დაფაცურდენ,
უფროსია მეტად მწყრალი,
შაგრამ უცებ მოტრიალდა
რა შეასწრო ვასილს თვალი,
მიხვთა საქმე რაშიც იყო
დაუნელდა წყრომის ალი.
შეეკითხა მოფერებით:
რათ გარჯილხარ ვასილოვო
კანდოკტორთა ხალხის ცოდვით
თავ-ყელამდის ავღსილოვო.
რატომ დღე ხარ მოწყენილი
სახე რათ გაქვს ლურჯათაო,
შენ გიყურებ რკინის გზისა
ამშენებელ ბურჯათაო.
ოქროს გაძლევთ მაგიერათ
ნუ მიიღებ თუჯათაო,
მითხარ ვინ რა გაწყენინა
რატომ დგეხარ მუნჯათაო.

„რალა გითხრა ნაჩალნიკო
ჩემზე ყველა მწყრალიაო,
Мнѣ не вѣришь— фактъ на лицо
კატის თავი მყრალიაო.
მინდა მოვსპო მე ქურდობა
აი ეს მაქვს მიზნათაო,
(უკეთ რომ ვსთქვათ—წინ წავიდე
სურვილი მაქვს დიდათაო.)
რომ შეეხედავ კანდოკტორსა
დამესხმება რეტიაო,
თითქოს ვინმეს დაერტყმიოს
თავში დიდი კეტიაო.
ჭკვასა ვკარგავ—აღარ ვიცი
რას უშვრები „პასაჟირსო“,
ისინიც დროს შოულობენ
და მაგდებენ გასაჭირსო.
თქვენთან კი თავს მართლულობენ
—აქ რა ჩემი ბრალიაო.
რა რომ ვქენი უნდა მექნა—
—პირდა პირი ვალიაო“.

ლამი—ვარ.

დეპეშები

(დაგვიანებულია)

ჯვარი. (შემოქმედი-გურიაა). ცნობილი ქვრივის ხაჭაპურაძის ეზოში, ყველიერში, ილორობას, გაიმართება ღობეზე ხტომაში გაჯიბრება. პირველად გამართულ ხტომის დროს პრიზი მიიღო სილოვან ნამამასახლისევმა.

ოზურგეთი. ნიკოკიმ გადაიტანა მესამეჯერ ფილტვის ანთება, რაიცა ექიმებს სასწაულად მიაჩნიათ, მაგრამ ამას იმითი ხსნიან, რომ მან (ნიკოკიმ) გაუძლო ცხრაჯერ ტვინის ანთებას და ასჯერ სინდიდისის . . . (დამახინჯებულია).

იქიდანვე. დადგა ჟამი განკითხვისა—ჩამოვიდა გამომძიებელი ანტიქრისტე, ხალხი და მისი მეგობრები მხიარულია, გლოვობს მხოლოდ: ვასილი, ნიკოკი, იპოლიტი, გრიგორ დიდი და გრიგორ მცირე, ივანე მჯაყველი და ძმანი მისნი—ვანო გურიელი შორიდან მისტირის დროს დაკარგულს და „გამწარებულ აწმყოს“.

შავდელა.

დ. ლანჩხუთი. მოსამართლემ ერთს მსჯელობაში განუმარტა გლეხ რამიშვილს, რომ აზნაური რაც დანაშაულიც იყო, არა ჯერაარს გლეხის წინაშე ბოდიშის მოხთისაო.

იქიდანვე. ინტელიგენციას აზრადა აქვს სამართალში მისცენ ექიმი გრიგორაშვილი და ინსპეკტორი მეზუკე, რადგანაც მათ თეატრის შენობა დაიქირავეს და მშვენივათ მოაწყვეს და მით დაამტკიცეს ხსენებული ინტელიგენციის არარაობა.

არამკითხე.

დ. ხაშური. ვინაიდან ხაშურში ხალხი მეტის სისწრაფით მატულობს და ადგილების სივიწროვისა გამო ხშირად შეტაკება ხდება, ამის თავიდგან ასაცილებლათ და ხალხის შესამცირებლათ, ადგილობრივ მიკიტნებს გადაუწყვეტიათ ისეთი ღვინოებით გამასპინძლება, რომლის ხმარების შემდეგ ადამიანები ხელათ წუთი სოფელს ესალმებიან.

დ. სურამი. ამ სამი წლის წინათ აქ დაარსეს სავაჟო პროგიმნაზია, მაგრამ რადგან მიხლა არუცოვსა და ალ. ხორავას (როგორც სოშეხსა და ქართველს) უსიამოვნება მოსდით ნაციონალურ საკითხთა გამო და ტერიტორიას ერმანეთს არ უთმობენ და ვინაიდან ეს ორთავე პატიოსანი გვამნი სასწავლებლის დედა-ბოძათ ითვლებოდენ, ამ უსიამოვნებისა გამო —გემნაზიამ სული დალია,

იქიდანვე. —სამაგიეროთ „გრიშამ“ ერთი ფრიად კულტურული დაწესებულობა გაუხსნა სურამლებს; ეს გახლავთ: „საარშიყო“ სახლი, სადაც ყველა მაშვრალთ, დავრდომილთ და სულით ავათმყოფებს თავისუფლათ შეუძლიათ სულიერი სიმშვიდის მოპოება. საზოგადოების „ერთი“ ნაწილი დიდის ენტუზიაზმით შეეგება ამ „კულტურ ულ“ დაწესებულების გახსნას..

კუდრაჭა.

პროვინცია.

ბაქო-ბალახანა.

უადგილო მუშები აქ-
იყო, არის, მიდის-მოდის
და ყოველ დღე ემატებათ
სიდუხჭირე ახალ მოდის.
ცხოვრებისა პირობები
იზრდება და კვლავ მწვავდება
და ვინ უწყის, რამდენსა მსხვერპლს
გვთხოვს, სანამდის აჰყვავდება.
მდიდრები მხარს უჭერს მდიდრებს
მუშა ხალხის გასაყვლეფათ;
დრო ხელს უწყობს და უჯდებათ
ჩაგრულთ ოფლი მათ იეფათ.
რამდენიმე წელი არის,
რომ მუშები ჭებსა თხრიდენ-
და ოცდა-ათ საჟენსა ქვეშ,
ქედ მოხრილი ოფლსა ღვრიდენ.
შორს წვრილ-ცოლ-შვილს ფულს
აწვდიდენ
განიცდიდენ მწუხარებას
და მიწიდან ამონახეთქს—
ნავთს აფრქვევდენ მდუღარებას.
არსებობას ბრძოლა უნდა
მუშა ხალხის რჩენას—შრომა,
მაგრამ აქაც ულალატა
ცოდვით სავსე შავმა დრომა!
კაპიტალისტთ არ იამათ
წვრილ წარმოებელთ სახელი;
მათ, შთანთქვა მოინდომეს,
მოაწერეს თხოვნას ხელი:
„ჩვენ ვიშკების პატრონი ვართ,
ვხარჯავთ, ვფლანგავთ მილიონებს
და ხაზინის სასარგებლოთ
ჩვენოდენ ფულს ვინ ილონებს?
აუკრძალეთ მუშაობა
ჭებზე ყველა არენდატორს
ჩვენ ზედ დავდგამთ მაღალ ვიშკებს,
ბურავებს და მოძრავ მატორს.
თუ ამ თხოვნას აგვისრულებთ
ფულს წინ და წინ დაგითვლითო
და როგორც ჩვენ, თქვენც შეიძენთ
სარგებლობას ვნახავთ ღვთითო“!
გაუგონეს—გამოცხადდა:
„ჭა აწ არვინ გათხაროსო,
ვინც მუშაობს, დაითხოვეთ
იარაღი დაჰყაროსო“!
შეწყდა ჭებზე მუშაობა,
მუშა ქუჩას მოეფინა,
მუშა კვნესის, მუშა გმინავს,
შიმშილობა უდგას წინა!..

ვაშა-ბაქურა.

სუფსა. რადგანაც სუფსელი მასწავლებლები სკოლაში მეცადინეობის დროს ხშირათ სადგურის წინ სეირნობენ (უმეტესად ქალები) ამისთვის სკოლის სამზრუნველომ დაადგინა სადგური სადმე უხერხულ ადგილზე გადაიტანოს და თუ ეს არ იქნა მაშინ ფიქრობენ მასწავლებლების მოხერხებულ ადგილზე გადატანას.

—ადგილობრივი სამკითხველოს საქმე სულ წინ მიდის ასე რომ ამ რაღაც ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი 30-დან 10-დე ავიდა ამბობენ კიდევ მოიმატებსო?. გასულ კვირაში ინტელიგენტურმა კერძო კრებამ სავალდებულოთ გაიხადა სამკითხველოში ხმა მაღლა სიცილ-ხარხარი და თუთუნის წევა.

კაკაო.

რედაქციისაგან.

როგორც ჩვენი ოზურგეთელი კორესპონდენტი გვატყობინებს—ტყუილი და კერძო ინტერესზედ აგებული ყოფილა ის გამოცანა (ოზურგეთისათვის), რომელიც დაიბეჭდა გასულ ნომერში. საქმე იმაშია რომ ეს ცნობა მოგვაწოდა ჩვენმა საიმედო კორესპონდენდმა, რომელიც ამ ჟამად ოზურგეთში არ იმყოფება და როგორც სჩანს ის შეცდომაში შეუყვანია მის ოზურგეთელ ნაცნობს. ჩვენ გამოვარკვევთ დანამდვილებით საიდან წარმოსდგა ეს ბოროტება და შესაფერ პასუხს მოვსთხოვთ, ხოლო მანამდე დიდ ბოდიშს ვიხდით ბ-ნ სურებელთან თუ ჩვენ მას დაუმსახურებლათ უსიამოვნება მივაყენეთ.

„მათრახის“ რედაქცია.

„მათრახის“ ფოსტა

ფ ო თ ი—K-ს. ის თქვენი დალაქი, რომელიც „პადოშზე“ ლესავს დანას, როგორც თქვენი აღწერილობიდან სჩანს მეტად საინტერესო მოყვანილობის ყოფილა. „ტან წვრილი არის გამხთარი, პირ თხელი ქერა სახისა“ ასეთი ადამიანი დღეს ძვირად მოიპოვება ჩვენში, ამიტომ უმჯობესი იქნება დაწვრილებით აგვიწეროთ. თუ ამ პირობას შეასრულებთ სიამოვნებით დაგიბეჭდავთ თქვენ პოეტურ ნაწარმოებს.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა—მეკუთვნის. როგორც სჩანს სამტრედიიდან გამოგზავნილი წერილი

თქვენ გეკუთნისთ, ჩვენ აღარ გედავებით. მაქაურ „ბარიშნებში“ გულნაკლული ყოფილხართ, ეცადეთ მათ მოურიგდეთ და ჩვენ კი გაგვანთავისუფლოთ ამგვარი წერილებისაგან.

ბ ი ა თ უ რ ა—ნაპერწკალს. გთხოვთ დაუყონებლივ გვაცნობოთ ვინ არის ის თქვენი „პოდრაჩიკი“, რომელსაც ერთი გალახვით დიდი ადგილი უშოვნია კანტორაში. თუ ეს მართალია მეტად სასიამოვნო ამბავია. თბილისში იმდენი უსაქმო ხალხია. რომ „ერთი გალახვა“ კი არა სულ გვერდებს დაამტრევინებენ ოღონდ ადგილი იშოვნონ.

შეგვატყობინეთ და ყველას გამოვგზავნით. ოღონდ ადგილებზე დააყენეთ და თუ გინდ სული ამოაძრეთ.

ს. ბ ო ხ ვ ა უ რ ი—თორნიკეს. ძმაო თორნიკე! სთხოვეთ ჩემს მაგიერ „ელპიტის და მაკრინეს“ რომ ცოტა ლაპარაკს უკლონ, რასაკვირველია მაშინ თქვენც წერას უკლებთ და ჩვენც თქვენი წერილების კითხვას.

ს. ა ც ა ნ ა-ინ. ჩ—ი. მოახსენეთ ბ—ნ აპოლონს ჩვენ მაგიერ, რომ ბავშვებს რამდენც უნდა იმდენი სცემოს ეკლესიაში წირვის დროს, ხოლო მღვდელს და დიაკვანს კი ნუ შეეხება.

ლ ე ს ა—ობოლს. თქვენი აფთიაქების მიწერ-მოწერა მართლაც სამხელ მივიღეთ, მაგრამ ასხელ რომ გამოგზავნოთ მაინც ვერ დავბეჭდავთ ამას.

ჩ ო ხ ა ტ ა უ რ ი. სილ. თავართქილაძეს. თქვენ მიერ გამოგზავნილი სამი მანეთი რედაქციას არ მიუღია და უკანვე დაგიბრუნდებათ, რადგან მარტო „შროშის“ სახელზეა გამოგზავნილი. უნდა ამ ადრესით გამოიგზავნოს: Тифлисъ, Тип. Шрома, Теофилу Болквадзе.

სამტრედიის რკ. გზ. „ბიულეტენების“ მოტრფიალე.